



572
1970



ზეუკები

ლილა სპილია

ბალის კართან შევჩერდი,
დავანახე ბებობას:
— ბებო, შენც, მსხალი მსხალს
როგორ ჩახუტებია!
ბაბუამ თქვა — ძმებია,
ბებობამ თქვა — დებია,
პირსაც ერთად იბანენ,
შშესაც ერთად ხვდებიან.
ჩიტუნამ თქვა — ერთმანეთს
როდი ეჩხუბებიან!

ნახატი ლიპიზარი ზარაშინაშვილისა



მეჩი გულქაძე

ნახატი ზურაბ ჯანაშიძისა

ნანამ იმდენი ივარცხნა თმა, იმდენი, ვიდრე სავარცხელი არ გატეხა. გატეხილი სავარცხელი სარკის წინ ჩუმად დადო, თვითონ კი ფანჯარაზე დასკუპდა ფისოსავით და ვითომც აქ არაფერიყო, გარეთ დაიწყო ცქერა.

დედამ გატეხილი სავარცხელი რომ ნახა, თავისთვის ჩაილაპარაკა:

- სავარცხელი გამტყდარა.
- მე არ გამიტეხია!—თქვა მამამ.
- არც მე გამიტეხია!—იუარა ბებო-

მაც.

— არც მე!—წამოიყვირა ნანამ.

- დედამ გაიცინა:
- ალბათ მე გამიტყდა.
 - ან თავისით გატყდებოდა.—ამოი-

ოხრა ბებომ.

— რა ამბავია, სულ ასე თავისით ტყდებოდა ყველაფერი?—მამამ მხრები აიჩენა და ოთხს ში გაიარ-გამოიარა.

— შენ არ გავიტეხია, მე არ გამიტეხია, იმას არ გაუტეხია, აბა. ვილაც შემოსულა, სავარცხელი გაუტეხია და ისევ უკან წასულა.—დაუმბატა ბებომ.

პაპა აქამდე ჩუმად იყო, ახლა კი გაზეთი გვერდზე გადადო და თქვა:

— რა მოხდა, რა ამბავი ატეხეთ ერთი სიტყვა სავარცხლის გულისთვის?! მე ევგორცხნიდი თმას და გამიტყდა.

ყველამ პაპას შეხედა, და ერთი სიტყვილი ატყდა: აი, სერი, პაპას ხომ ერთი ღერი თმაც არა აქვს თავზე?!

ნანა პაპასთან მივიდა. მელოტ თავზე ხელები მიუცაკუნა და უჩურჩულა: ჩემმა თმამ გატეხა, პაპა, ჩემმა თმამ!

— ეგ მეც კარგად ვიცი, მაგრამ რატომ თვითონ არ ამბობს მე გავტეხეო?!—ჩურჩულითვე მიუგო პაპამ.



მე და თელე კაპა

მე და თელეკაპა

— ზნობენ რომ ვიყავი—
მუჭუნე თელი ხაზი—
ვღნაოურს ამ ვიყავი,
კვლევა ნიუბს მელი დამი.

უხვითობა... ვხვრებები
სოსტანს მომწევს, ნერვს ვამხვლას...
ნერვებს იყო ნებები
მსახიბნ ვინაი წიხელი.



საქართველოში
ზრუნველობა

შენ ვი ახლა რაი ამ მუხურბი,
თუამურანიუხე მუერეუნ მუდამბარ.
ური სღამის მუეობლი
რეუხეუთი ქვერს ნახე.

— მუროვენ რამ ვიჭებო—
უუბნეი თელი ხაზს—
სიუერული ვეუბსენს
მუნს მუეობლი მრეუდ ამბეხ.
სინმელიუდ ვინეუ ალბი
სიტერსიუეუღუ ნაქემ ზედახს.

მე და მუხურბი

მე და მუხურბი

დღის ღირი,
ვაშლის ღირი,
აღმის ღირი,
ხეშის ღირი.

ამელი ტერის რა ვაუდენს—
გამბინა მუღნი ვირი.

მორაქუაქებს მამბინაქენ,
მღერს მობარენს ხერეონს ვირი.
დახელი მიღს მუღტარი,
გაიოდა ხელია ღირი:

დღის ღირი,
ვაშლის ღირი,
ხეშის ღირი,
აღმის ღირი.

განსვლი ზღმბა პირი,
გამბინა მუღნი ვირი!



მე და მუხურბი

მე და მუხურბი

— მუროვლი, მუროკა,
სიუობე მუღნი მური გაქქს,
— მური რომ მაქქს, მირია,
მირიომ მუქია მურიკა.





იფნის სასტჳენი

ჳალიმერ ასლაიანიშვილი

ბიჭებმა მინდორში ბურთი შემოგორეს და ევილ-ხივილით შემოცვივდნენ.

— ჯერ გავიყოთ; ჯერ გავიყოთ!—წამოიძახა გიგამ და ბურთს ხელი დაავლო.

— არჩევეანი—მე!

— არადანი—მე!

— ნიკა—მე!

— სოსო—მე!

— მიხო—მე!

— თედო—მე!

პატარა ელიზბარი განზე იდგა და გულდაწყვეტილი უყურებდა ბიჭებს.

— ელიზბარი, ელიზბარი დარჩა!

— ეგ ბურთის ხელა არც კია, რა უნდა ითამაშოს, ფეხებში გაგვებლანდება!—თქვა ნიკამ.

— იცი რა, ელიზბარ! შენ მსაჯრი იყავი!— შეეცოდა სოსოს.

გახარებულმა ელიზბარმა შინისაკენ მოკურცხლა. დანა გამოიტანა, ეზოში იფანს ტოტი შეაჭრა, სალამურის მსგავსად გამოთალა, პირი ამოუჭრა და მერე ორი გოჯის სიგრძეზე კანი შემოსერა და ჩაუღლინა:

ლოპო, ლოპო, იხადე,

თუ არ გამოიხადე,—

აკუწავ და დაკუწავ,

ჩვენს თონეში ჩაკუწავ.

და მუხლზე დადებულ იფნის ტოტს გარშემო ფრთხილად უკაკუნებდა დანის ტარს. მერე აქეთ-იქიდან ტოტს თითები მოუჭირა და ფრთხილად შეატრიალა ქერქი. არაფერი გამოოვიდა.

კარგა ხანს იწრიალა, მაგრამ ტოტს ვერა და ვერ მოაცალა ქერქი.

«ყველაფერს ხომ ისე ვაკეთებ, როგორც მამამ



ნახატი პეპარე აგბოკაძისა

მასწავლა. რატომ არ გამოიღის? — დადარდიანდა ელიზბარი.

ეზოში მამა დაინახა და შესჩივლა.

მამა ღიმილით უსმენდა, მერე თავზე ხელი გადაუსვა:

— ახლა წელიწადის რა დროა, ელიზბარ?

— შემოდგომა.

— მე რომ სასტვენი გაგიკეთე, რა დრო იყო?

— გაზაფხული.

— ჰოდა, ყველაფერს თავისი დრო აქვს, შვილო! გახსოვდეს, გაზაფხულზე ხეში წყალი უზება და კანი ადვილად სცილდება, შემოდგომაზე კი ხეში წყალი ნაკლებია და კანის გაძრობაც ამიტომ ჭირს.

ელიზბარი თავჩაქინდრული იღვა, რა ექნა, არ იცოდა.

მინდვრიდან კი ბიჭების ჟრიაბული ისმოდა...

ნიკნიკა

თამარ ჩხიძე

ნახატი გიორგი როინიშვილისა

მაგიდაზე ცისფერი მალვიძარა
საათი იდგა.

— წიკ-წიკ, წიკ-წიკ!—წიკწი-
კებდა.

დანიშნულ დროზე კიდეც აწკრი-
ალდებოდა:

— წკრრრ-წკრრ!—და აღვი-
ძებდა მამუკას, ბებოს, დედას, მამას...
მამუკას დედა და მამა სამსა-

ხურში მიდიოდნენ.

— წიკ-წიკ, წიკ-წიკ!—წიკწი-
კებდა საათი,—მამუკას გაღვიძების
დროა!

— წიკ-წიკ!—ასაუზმეთ!

— წიკ-წიკ!—ასეირნეთ!

— წიკ-წიკ,—ასადილეთ!

— წიკ-წიკ,— დააძინეთ! — და
ბებიაც კველაფერს უჯერებდა საათს.





უბრალო ბავშვების
ნახებები





2

აი, ჩვენი კოკროქინა,
 კოკროქინა-ყოყლოჩინა:
 ნაბიჯ-ნაბიჯ,
 ნება-ნება
 პრელ პეპელას ეპარება...
 ერთი,
 ორი,
 სამი,
 ჰოპა!—
 და გუბეში გადატოპა!

ესეც შენი კოკროქინა,
 კოკროქინა-ყოყლოჩინა:
 კოკროქინა-ყოყლოჩინა,
 კოკროქინა-ყოყლოჩინა.

კოკროქინა-ყოყლოჩინა

იორამ ქავეჩაველიძე

გაიცანით კოკროქინა,
 კოკროქინა-ყოყლოჩინა:
 უაენივით გაბღენძილი
 დაბაიჯებს აღმა-დაღმა,
 შინაური, გარეული
 მისთვის უვველა ერთი გახლავთ.
 თავი მაღლა აუღია,
 იყურება მუდამ მაღლა...

წვალზე მიდის კოკროქინა,
 კოკროქინა-ყოყლოჩინა:
 თამაშ-თამაშ,
 უკან-უკან
 აედევნა ცელქი ცუგა:
 შეატოტდა,
 გაუგორდა,
 ზან ესა ქნა, ზან ისა ქნა...
 საქმეში ზარ? კოკროქინამ
 დიხნდა განა დაბლა,—
 თავი მაღლა აუღია,
 მიაბიჯებს შუკა-შუკა,
 ერთი, ორი,
 ერთი, ორი
 აებლანდა ფეხში ცუგა—
 და თავისი კოკინა
 კოტრიალა, კოტრიალა.

ესეც შენი კოკროქინა,
 კოკროქინა-ყოყლოჩინა:
 კოკროქინა-ყოყლოჩინა,
 კოკროქინა-ყოყლოჩინა.



4

სუფრას უზის კოკროკინა,
კოკროკინა-ყოყლოჩინა:
შეაყენა ყალუჯე სკამი,
იბზრიალა, იტრიალა,
დასხლტა სკამი,—
სუფრანა,
თეფშინა,
ქიქინა,
თავის წვნიან-ფოჩინა
კოტრიალა, კოტრიალა.

ესეც შენი კოკროკინა,
კოკროკინა-ყოყლოჩინა:
კოკროკინა-ყოყლოჩინა,
კოკროკინა-ყოყლოჩინა.



5


დედას, მამას, ბებოს,—ყველას
გული გადაუტრიალა:
რა ოინი მოიგონა,
ან რამ წამოუპრიალა,
მაგიდის ქვეშ რომ შემძვრიალა
თუფშებთან-სუფრანა?!

6

გადახადეს სუფრა, ნახეს—
სადღა უჩანს პირისანე:
ცხვირზე—თეფში,
შუბლზე—ბლინი,
გულზე—პური ნაქერ-ნაქერ...
დედა ყვირის,
ბებო ტირის—
— თავი მოგვჭრა ქვეყანაზე!

ესეც შენი კოკროკინა,
კოკროკინა-ყოყლოჩინა,
კოკროკინა-ყოყლოჩინა,
კოკროკინა-ყოყლოჩინა.

ნახავი თავას ხსენებელისა



მეწველი თხა

ნახატები ზურაბ კაპანაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ერთმა კაცმა ქალაქში მეწველი თხა იყიდა და სოფელში წაიყვანა. გზაში დაულამდა და ლამის გასათევად ნაცნობთან შეიარა.

მასინძელმა ხუმრობით მეწველი თხა მამალი თხით შეუცვალა.

გაუდგა დილით კაცი გზას.

შინ რომ მივიდა, ცოლს შორიდანვე შესძახა:

— გამოდი, ქალო, გარეთ, ნახე, რა მეწველი თხა მოგიყვანე! მოდი, მოწველეო!

ცოლმა აიღო კათხა, თხასთან მივიდა და რას ხედავს! თხა მამალი არ არის!?

— კაცო, დაბრმავდი თუ რა მოგივიდა! ეს ვაკი მეწველ თხად ვინ შემოგაჩენა. მოგატყუესო?

გაბრაზდა კაცი, როგორ თუ მომატყუე-



სო და ვაცი ბუზლუნ-ბუზლუნით უკანვე წაი-
ყვანა. გზაში დაულამდა და ისევ იმ ნაცნობ-
თან გაათია ღამე. გაცხარებულმა კაცმა თავი-

გათია ღამე.
მასპინძელმა კვლავ შეუტვალა თხა.
დილა-ადრინად გაუდგა კაცი გზას. შინ
მივიდა თუ არა ცოლს უყვირა:

— გამოსულეღლი, დედაკაცი, ის კაცი
ტყუილად გამალანძღინე, აბა, კათხა გამოი-
ტანეო.

ცოლმა გამოიტანა კათხა და თხას რომ
შეხედა, ქმარს შესძახა:

— კაცი, გაღირიე? ვაცი როგორ მოვ-
წველოო?!

11.3/6



სი გულისწყრომა გაანდო მასპინძელს: ლან-
ძღვა-გინებით ისენიებდა თხის გამომცემს.
მასპინძელმა ღამით ისევ შეუტვალა კაცს
თხა.

უყურებს კაცი თხას, თვალს არ უჯერებს,
უყურებს და უყურებს... დღესაც ვერ მიმზე-
ღარა, რა ხდება მის თავს!

ჩაიწერა ლალ მკინიანა

უთენია გაუდგა კაცი გზას. მივიდა თხის
გამყიდველთან და უთხრა:

— არა გრცხენია? მე კაცი მეგონე, შენ
კი თაღლითი ყოფილხარო.

— რა იყო?

— ვაცი მეწველ თხად მომყიდე და ამაზე
მეტი რაღა უნდა იყოსო!

— ვაციო?!—ჩაილაპარაკა თხის პატრონმა,
ეს კაცი ხომ არ გაგიქდაო, გაიფიქრა, გამოი-
ტანა კათხა და თხა მოწველა.

ახლა თავისთავზე გაბრაზდა კაცი: ვაცი
და მეწველი თხა ერთმანეთისაგან როგორ
ვერ გავარჩიეო! ჩაავლო თხას ხელი და გულ-
მოსულმა გამოსწია სოფლისაკენ.

გზაზე დაულამდა და ისევ იმ ნაცნობთან



ქანიტბული



მარბარკ ღოკისანი ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე. მის სამეფოში ყველა ბედნიერად ცხოვრობდა, მაგრამ მეფეს ერთი ზნე სჭირდა: გაიღვიძებდა თუ არა, ერთს „აფცხიო“, — დააცემინებდა და მთელი სამეფო კარი მაშინვე მის საწოლ ოთახში უნდა შეყრილიყო:

- დღეგრძელობა, ხელმწიფეო.
- სიცოცხლე და ბედნიერება, დიდო მეფეო!
- დილა მშვიდობისაო, — მზიარულად მიუგებდა მადლიერი მეფე, მერე ფლოსტებს მოიკითხავდა.

მეფე თუ მაგრად დააცემინებდა, იმ დღეს სასახლეში ყველა მზიარულად იყო. დიდი თუ პატარა თავს ბედნიერად გრძნობდა, აქაოდა, მეფემ დააცემინაო.





მაგრამ, დახეთ უბედურებას! ერთ დღას ვერ
იქნა და ვერ დააცემინა. რა არ იღონა: თავს
აქეთ-იქით აქნევდა, ლოყებს იჩქმეტდა, ცხვირ-
შიაც ილიტინებდა, მაგრამ ყველაფერი ამოა იყო-
ნესტოვებში რაღაცა ისე უღიტინებდა, თითქოს
უნდა დააცემინოსო, მაგრამ ვერა და ვერ დაა-
ცხიკვა... ყველა შეწყუნდა, დიდებულებმა ფრთხი-
ლად ჩააცვეს და ტატუე დასვეს. მაგრამ მეფე
ერთ ადგილზე ვეღარ ჩერდებოდა.

— ცუდად ვარ, აღარ შემძლია... მგონია, რომ
მა... მა... მაყვამინებს.

მთელი სამეფო ფეხზე იდგა. გუშაგებმა საყ-
ვირები მოიმარჯვეს, რათა ქვეყნისათვის გცნო-
ბებინათ სასიხარულო ამბავი. მაგრამ მეფემ ვე-
რა და ვერ დააცემინა. ექიმმა აბაჯანები დაუ-
ნიშნა, სასწრაფოდ დაუთბუნეს ფეხები. მაგრამ
არც ამან უშველა.

მეფე კიდევ უფრო განრისხდა. მთელი სასა-
ნლე სასოწარკვეთილებაში ჩაგარდა. სამზარეუ-
ლოში ცეცხლი ჩაქრა, მუშაობა შეწყდა. მანდი-
ლოსნებმა დედოფალთან მოიუარეს თავი და
ცხარე ცრემლებით აქვითიანდნენ, დაღონებული





მებუეებიც გულზე ხელდაკრფილები, ცდიდნენ, სველა სახლში ჩაიკეტა. ქალაქი მთელმთლიანად ელოდა, როდის დაეცეკებდა ხელმწიფე.

დროდადრო მავანი ფანჯარას გააღებდა და მეზობელს ვახახებდა: ახალი ზომ არაფერიაო, — მეზობელი თავს უარის ნიშნად გაქნევდა და ფანჯარა ისევ დაიხურებოდა.

ქვეყანაში უბედურება დატრიალდა.

მხოლოდ მეფის მებაღე მუშაობდა თავაულებლად. ეს გულკეთილი, მგრძნობიარე ქაბუკი ყურადღებასაც არ აქცევდა, რა ხდებოდა სახალღში.

— მეფე ბაღში ჩაიყვანეთ და ვაშლის ხის ქვეშ დასვითო, — ურჩია ერთხელ ვაღიამ მეფის ასულს.

— ვაშლის ხე რას უშველისო?! — გაიკვირა მეფის ასულმა.

— ის მე ვიცისო! — უპასუხა ვაღიამ.

ხელმწიფე ვაშლის ხის ქვეშ ტახტზე დააბრძანეს. ზოგი ოქროსფრად მოქარგულ ბალიშებს უფენდა, ზოგი საბანს უსწორებდა...

მშვენიერი ამინდი იყო, სუსტი სიო ნაწად აქნავებდა ლოქაწითელი ვაშლებით დახუნძლულ შტოებს. უცებ, დაუბერა ნიავმა და, „აფხციო“ — ისეთი დაეცემინა ხელმწიფეს, კინაღამ ტახტიდან გადმოვარდა.

მებუეებმა ნალარა დაჰქრეს. ხმა გავარდა: „მეფემ დააცხიკვა, მეფემ დააცხიკავაო“. სველა დარაბა გაიღო, მთელი ქალაქი ქუჩაში გამოიფინა, ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— გასამრჯელო ვის ეკუთვნისო? — იკითხა მეფემ.

— ვაშლის ხეს, ვაშლის ხესო, — ერთხმად წამოიყვირეს მანდილოსნებმა.

— ოქროს ღობე შემოვავლოთო...

— ზედ ვერცხლის ვაშლები ჩამოვკიდოთო...

— სუნამოთი მოვრწყათო.

ამ ამბავმა ვაღიას ყურამდეც მიაღწია. რის ვაი-ვაგლახით ჩამოიარა კიბე, ეახლა მეფეს და უთხრა:

— გასამრჯელო იმას ეკუთვნის, ვინც ის ხე დარგო.

სასწრაფოდ მოიყვანეს მებაღე და საკადრისად დაასაჩუქრეს.

ფრანგულიდან თარგმნა ივანე სარაძემ

ნახატები ზურაბ შორჩხიშინა

თხილბუკით

გიორგი წაკათალი

აქედ—მუხის ფულურო,
იქით—მუხის ფულურო...
მოთამაშე ციყვუნებს
გინდა მთელ დღეს უყურო.

ამ თხილბურთის მინდორზე
მუხები დგას ფარადა,

ბურთი—რკო და თხილია,
ფულუროა კალათა.

ციყვუნებსაც სკოდნიათ
თურმე ბურთის თამაში, —
აუცდენლად ტყორცნიან
კროლა თხილებს კალათში.





მ. თბილისის 48-ი საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა: კანკაბის, მჭედლის, მაკენკის და ზეჩაბიანის სახეობა.



76055